არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

---

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო
უნივერსიტეტის რექტორის

**b r Z a n e b a №1/172**

ქ. თელავი **06 აპრილი 2012 წ**

**იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში ვაკანტურ აკადემიურ თანამდებობებზე კონკურსის გამოცხადების შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე და 35-ე მუხლების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 28 დეკემბრის ბრძანება №209/ნ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების 26-ე და 27-ე მუხლების, აგრეთვე „აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების ერთიანი წესის შესახებ“ დებულების, „აკადემიური თანამდებობების შესარჩევი საკონკურსო კომისიის მუშაობის რეგლამენტის“, სკოლების საბჭოების წარდგინებისა და უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ**

**1**.გამოცხადდეს კონკურსი ვაკანტური აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად ხუთი წლის ვადით 2012 წლის 6 აპრილს უნივერსიტეტის სკოლების შემდეგ მიმართულებებზე:

**1.1. სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის სკოლა**

საჯარო სამართლის მიმართულება - სრული პროფესორი, 1 საშტატო ერთეული
საჯარო სამართლის მიმართულება - ასოცირებული პროფესორი, 1 საშტატო ერთეული
ბიზნესის ადმინისტრირება - ასოცირებული პროფესორი, 1 საშტატო ერთეული
ტურიზმის მიმართულება - ასოცირებული პროფესორი, 1 საშტატო ერთეული
ეკონომიკის მიმართულება - ასისტენტ პროფესორი, 1 საშტატო ერთეული

**1.2. ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა სკოლა**

ინფორმატიკის მიმართულება - სრული პროფესორი, 1 საშტატო ერთეული
ინფორმატიკის მიმართულება - ასოცირებული პროფესორი, 1 საშტატო ერთეული
ინფორმატიკის მიმართულება - ასისტენტ პროფესორი, 2 საშტატო ერთეული

### 1.3. განათლების სკოლა

პედაგოგიკის მიმართულება - სრული პროფესორი, 1 საშტატო ერთეული
მეთოდიკის მიმართულება - სრული პროფესორი, 1 საშტატო ერთეული

### 1.4. აგრარულ მეცნიერებათა სკოლა

სოფლის მეურნეობის მიმართულება (აგრონომია) - ასოცირებული პროფესორი, 1 საშტატო ერთეული
სოფლის მეურნეობის მიმართულება (სატყეო) - ასოცირებული პროფესორი, 1 საშტატო ერთეული

### 1.5. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლა

უცხო ენის მიმართულება (ინგლისური) - ასოცირებული პროფესორი, 1 საშტატო ერთეული
უცხო ენის მიმართულება (გერმანული) - ასოცირებული პროფესორი, 1 საშტატო ერთეული
უცხო ენის მიმართულება (ინგლისური) - ასისტენტ პროფესორი, 2 საშტატო ერთეული

**2**.კონკურსში მონაწილეთა რეგიტრაცია იწარმოებს საკადრო საკითხთა განყოფილებაში 2012 წლის 7 მაისის 10 საათიდან - 21 მაისის 17 საათამდე.

**3**.კონკურსი ჩატარდეს 2012 წლის 31 მაისს 11 საათზე.

**4.**დაევალოს უნივერსიტეტის საქმის წარმოებისა და საკადრო საკითხთა სამსახურის საკადრო საკითხთა განყოფილებას (ქ.ხმალაძე) ბრძანების უნივერსიტეტის ვებ.გვერდზე, განცხადებების დაფაზე განთავსება და რესპუბლიკურ პრესაში გამოქვეყნება.

**5.**ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

**6**.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თელავის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. თელავი, დავით აღმაშენებლის გამზირი №43)

უნივერსიტეტის რექტორი თინათინ ჯავახიშვილი